



# საქართველოს გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტის გამომცემი  
გამოდის 1957 წლიდან  
№10 (278) დეკემბერი, 2014 წელი

გაზეთი

გილდცავთ რაბრებ  
ახალ ქელს!



### კონსერვაციის ინფორმაციური დაავადებები საუკუნის მთავარი გამოწვევაა



ქვეყანაში არსებულ ინფექციურ დაავადებებსა და მათთან ბრძოლის მეთოდებზე იმსჯელეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დეკემბრის თვეში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.

თსუ-ის ორგანიზებით და აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს მხარდაჭერით გამართულ შეხვედრაზე გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მათი გამომწვევი მიზეზები განიხილეს.

შეხვედრას აშშ-ის ელჩი **რიჩარდ ნორლანდი**, საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის და განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტების თავმჯდომარეები, შრომის, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის, ასევე, განათლების და მეცნიე-



რებათა სამინისტროების, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელები, საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი მეცნიერ-სპეციალისტები ესწრებოდნენ.

როგორც ბატონმა რიჩარდ ნორლანდმა აღნიშნა, – „ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჯანდაცვის უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოს ერთ-ერთი მონინავე პოზიცია უჭირავს. მნიშვნელოვანია კვლევების ჩატარება მაშინ, როდესაც სამყარო უმკლავდება ებოლას ვირუსს და არაერთ ინფექციურ დაავადებას. თქვენ მალაქვალფიციური სპეციალისტები გყავთ, რომელთაც შესწევთ უნარი და კომპეტენცია წარმატებით გადაჭრან ამ თვალსაზრისით არსებული არაერთი პრობლემა“.

კონფერენციაზე იმსჯელეს ეკოლოგიასა და მის როლზე გარემოში არსებული პათოგენების განვითარების თვალსაზრისით. განიხილეს საქართველოსა და მისი მოსაზღვრე რეგიონების დამახასიათებელი გარემო ფაქტორები, ეპიდემიოლოგიის გამოვლენის და მართვის საკითხები.

### მნიშვნელოვანი და აქტუალური

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრმა ნოემბრის თვეში ჩაატარა ტრენინგი სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდა სამეცნიერო სტატიის და საგრანტო პროექტის წარმატებული წერის სტრატეგიებზე.

ტრენინგი განხორციელდა საგრანტო პროექტის ფარგლებში, რომელიც **CRDF GLOBAL**-მა (ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი) დააფინანსა პროფესიული უნარების ტრენინგების საგრანტო პროექტში გამარჯვების შედეგად. ტრენინგები გახლდნენ სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი, პროფესორი **ლუიზა გაბუნია**, უფროსი სპეციალისტები – **შორენა ხეცურიანი** და **ნათია გამყრელიძე**.

კონფერენციის საპატიო სტუმარი გახლდათ საქართველოს სამეცნიერო ტექნოლოგიური განვითარების ფონდის პროგრამების მენეჯერი, ბატონი **ნიკოლოზ ბურდიაშვილი**, რომელმაც ისაუბრა **CRDF GLOBAL**-ის საგრანტო პროექტების შესახებ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში; ტრენინგის მონაწილეებს მიესალმა და ესაუბრა თსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი **რიმა ბერიაშვილი**, რომელმაც ყურადღება გაამახვილა მიმდინარე ტრენინგების მნიშვნელობასა და აქტუალობაზე, ასევე, თსუ-ში სამეცნიერო კვლევების განვითარების პერსპექტივებზე. ტრენინგში აქტიურად მონაწილეობდნენ თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, რეზიდენტები, დოქტორანტები და სტუდენტები. დასასრულს, გაიმართა საინტერესო დებატები და მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.



### ლოცვისიარაღი ვიზიტით ერევანში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი **გიორგი აბესაძე** და დიპლომისმემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსი **აკაკი ბარკალაია** ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ერევანში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის I საუნივერსიტეტო კლინიკის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **მიხაელ ნარიმანიანს** გადაეცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას** მისალმოცი ადრესი და სამახსოვრო საჩუქარი.

ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა **მიხაელ ნარიმანიანმა** და თსუ-ის ვიცე-რექტორმა **გიორგი აბესაძემ** განიხილეს მომავალი ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები.

### შეხვედრა შეღავათების უცხოელი სტუდენტებისთვის

სავიზო რეგულაციებთან დაკავშირებული საკითხების გასაცნობად, ახლახან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის სადისერტაციო დარბაზი უცხოელ სტუდენტებს მასპინძლობდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ **შიო ხეცურიანმა**, თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჯაშმა**, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა **ევა მამალაძემ**, მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის უფროსმა **სოსო გიორგაძემ** და მოადგილემ **ეკატერინე ოდიშარიამ**, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საკონსულტაციო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ **ინგა კიკვაძემ** ისაუბრეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში შესულ ცვლილებებზე. განმარტეს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, საქართველოში მყოფი უცხოელებისთვის, გარდამავალ ეტაპზე, დაწესდა ბინადრობის ნებართვისა და საიმვირაციო ვიზის მოპოვებისთვის შეღავათიანი პირობები.

შეხვედრას ესწრებოდნენ თსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი **რიმა ბერიაშვილი**, თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი **ია ავალიანი** და ამავე დეპარტამენტის თანამშრომლები.

## ერთობრივი პროექტი



შეზღუდული შესაძლებლობები პირთა მხარდასაჭერად კიდევ ერთხელ გაერთიანდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები და ფურნალისტები. ამ მიზნით შეიქმნა კლუბი – „**ტირია**“, რომელსაც თსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი **მარიამ ბახუტაშვილი** ჩაუდგა სათავეში.

შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მსოფლიო დღეს, ამიერკავკასიაში ერთადერთ სოციალურ კაფეში – „**რეას ციფრები**“ – თსუ-ის და „მედიაპალიტრის“ ერთობლივი პროექტის – „**რეალობა, რეაქცია, რეაბილიტაცია**“, პრეზენტაცია გაიმართა.

ლონისძიებას დაესწრნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, „მედიაპალიტრის“ კრეატიული დირექტორი **მარიკა დარჩია** და სხვები, რომელთაც მხარი დაუჭირეს კეთილ ნამოწყებას და დახმარება აღუთქვეს ახალგაზრდებს.

ორგანიზატორებმა სტუმრებს მუსიკალური ნომრები და თავიანთი ნამუშევრები წარუდგინეს. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ პროექტი ერთი წლის მანძილზე განხორციელდება, რაც მასპინძლების, ორგანიზატორების, ფურნალისტების და სტუდენტების ერთობლივ ფოტოგადაღებებს გულისხმობს და საინტერესო გამოფენით დასრულდება.



# გვიმოხადენ რვაწმოსიკები გილოცავთ და გლოცავთ!



მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო და გილოცავთ დამდეგ, 2015 წლის შობა-ახალწელს, გისურვებთ ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, თქვენი ოცნებების ასრულებას!

მჯერა, რომ თანადგომა, ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, მიმტევებლობა ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების მყარი საფუძველი იქნება. ვიყოთ ოპტიმისტები, გვეჯეროდეს მომავლის.

ცხოვრების და მოღვაწეობის ხუთ ათეულ წელზე მეტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

უნივერსიტეტთანა დაკავშირებული. იგი ჩემი მეორე ოჯახია, სადაც ბევრი კეთილმოსურნე მეგობარი და კოლეგა მყავს.

კეთილი სურვილებით ვულოცავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატს, ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ფსიქიატრიის და ნარკოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებს, ყველა ქართველ ფსიქიატრს ახალ წელს და ვუსურვებ ნარმატებებს უაღრესად კეთილშობილურ საქმიანობაში – საექიმო-პედაგოგიურ თუ სამეცნიერო ასპარეზზე.

სიყვარულით მოგმართავთ, მომავალი ექიმებო, მშვიდობით გველოთ მედიცინის დაუფლების რთულ გზაზე; გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას! არ შეგაშინოთ სიძნელეებმა. მჯერა, რომ ექიმების ახალი თაობა ბევრს მიაღწევს და გაამართლებს ჩვენს იმედებს! პაციენტის მიმართ იყავით ჰუმანური, ისინი თქვენგან დახმარებას, სიტბოს და თანადგომას ელიან!

პროფესორი **ლია მენთევაშვილი**

# მტავალ ახალ წელს!..



ახალ, 2015 წელს, ვულოცავ ჩვენი სასიქადულო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს – ჩემს კოლეგებსა და მეგობრებს, მათ, ვინც მრავალი წლის მანძილზე კეთილსინდისიერად, კეთილშობილურად, მაღალი ზნეობით, პროფესიონალიზმითა და ერუდიციით, სიყვარულითა და პატივისცემით ამაგი დასდეს ჩვენი სამშობლოს უმთავრეს უმაღლეს სასწავლებელს, საქართველოს სამედიცინო განათლების ძირითად ტაძარს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს.

ახალ წელს ვულოცავ უნივერსიტეტის ყველა კურსდამთავრებულს, რომლებმაც უანგარო და თავდადებული შრომით, თეთრად გათენებული ღამისა და ზოგჯერ საკუთარი ჯანმრთელობის ფასადაც კი მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნეს სიკვდილის კლანჭებიდან. გულწრფელად ვულოცავ ახალ წელს ჩვენი უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს – საქართველოს მომავალს. ვუსურვებ მათ, შეისიხორცონ და პირნათლად დაიცვან ეროვნული მედიცინის ტრადიციები.

ახალ 2015 წელს ვულოცავ ქართველ ხალხს, ვუსურვებ მშვიდობას, ბედნიერებას, ერთმანეთის გვერდით დგომას, სიყვარულით საქვეყნო საქმის კეთებას. გვახსოვდეს, დიდი მგოსნის უკვდავი სტრიქონები: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ“...

მრავალ ახალ წელს დაესწარით, ძვირფასო მეგობრებო!

პროფესორი **ალბუჯა ყიფინიძე**

# ბედნიერ და წაბმაცემულ წელს გისურვებთ!



მაქვს პატივი მოგილოცოთ ახალი, 2015 წლის შემობრძანება. ჩემი 70 წლიანი საექიმო კარიერის 45 წელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს მდიდარი ტრადიციების მქონე სამედიცინო-საგანმანათლებლო სკოლა კვლავ აგრძელებს ნაყოფიერ მუშაობას

და ახალგაზრდების პროფესიონალებად აღზრდას. იმედი მაქვს, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მომავალშიც თავდადებით ემსახურებიან ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, რაშიც ფასდაუდებელია სამედიცინო უნივერსიტეტის პედაგოგების წვლილი, რომლებიც ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემენ ახალგაზრდა თაობას, შეასწავლიან ექიმის პროფესიას, მკურნალისთვის აუცილებელ ეთიკურ პრინციპებს.

სტუდენტებს ვუსურვებ, ადრევე გააცნობიერონ არჩეული პროფესიის არსი და უშურველად მოახმარონ ნიჭი და ენერჯია ამ უკეთილშობილეს საქმეს.

სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ადმინისტრაციას, თანამშრომლებს ვუსურვებ ბედნიერ და ნარმატებულ ახალ წელს!

პროფესორი **ლევან ჭაჭიაშვილი**

# სტუდენტობა გვაერთიანებს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და წლის დასასრულს, რომელიც, ასევე, ჩვენი თვითმმართველობის 2 წლისთავს ემთხვევა, გადავწყვიტეთ, მოგვეთხოვო ჩვენ მიერ 2 წლის განმავლობაში განხორციელებული წარმატებული პროექტების შესახებ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობა 2006 წელს შეიქმნა. მოქმედი გუნდი წარმოადგენს IV მონვევის სტუდენტური თვითმმართველობას, რომლის ძირითადი საქმიანობა ითვალისწინებს საინტერესო და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების ორგანიზებას სამეცნიერო, კულტურული, სპორტული, სოციალური, საგანმანათლებლო და საერთაშორისო მიმართულებით. ამ პერიოდის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდით უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ კლუბებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებთან ერთადც მრავალი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ.

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ჩატარდა 400-მდე სხვადასხვა სახის ღონისძიება, რომლის მონაწილენი იყვნენ უნივერსიტეტის, როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი სტუდენტები.

საუნივერსიტეტო და საერთაშორისო ღონისძიებებიდან აღსანიშნავია სოციალური აქტივობა – „სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა“, რომელიც პირველად გასულ წელს განხორციელდა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 40 სტუდენტს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაუფინანსდა სწავლის საფასური. ასევე, გამორჩეული აქტივობაა მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევები, რომლის ფარგლებშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის პროგრამა შესაბამისი მედიკამენტების გადაცემით.

აქვე უნდა აღინიშნოს სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და პროფესორ-მასწავლებლების მხარდაჭერისა და



თანადგომის შესახებ სტუდენტური თვითმმართველობის და, ზოგადად, სტუდენტობის მიმართ, რისთვისაც მათ დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ყოველთვის იცავდა ქვეყნის და უნივერსიტეტის ინტერესებს და ასე გაგრძელდება

მომავალშიც. კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და გისურვებთ აქტიურ და ნარმატებულ საქმიანობას!

ჩვენ სტუდენტობა გვაერთიანებს!

**თამარ საბანელიძე,**  
თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი

# ახალი მესოგია

# კბილთა მხატვრული რესტავრაცია



სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **მარინა მამალაძე** და ასოცირებული პროფესორი **ნათია ნიუარაძე** მივილინებთ იმყოფებოდნენ შვეიცარიაში, პროფესორ **დიდიე დიჩის** საერ-

ლი მიკროსკოპის ქვეშ კბილთა რესტავრირების მეთოდისათვის ათვისება.

ქართველმა პროფესორებმა ახალი სარესტავრაციო მასალის – **INSPIRO (edelweise)**-ის საშუალებით კბილთა რესტავრირების ახალი მეთოდები ათვისეს.

მასტერ-კლასს თსსუ-ის საპატიო პროფესორი **სერგეი რადლინსკი** ესწრებოდა. სიურპრიზი კი პროფესორ **ფრანჩესკო მანგანის** სტუმრობა იყო, რომელიც მსოფლიოს ესთეტიკური სტომატოლოგიის ყველაზე აღიარებული სახელმძღვანელოს – **Dental Conservative Restorations**-ის ავტორია – **ლორენცო ვანინთან** ერთად.



მნიშვნელოვანია, რომ ეს ახალი მეთოდი მალე ქართველი პროფესორების მიერ თსსუ-ის კლინიკაში დაინერგება.







# სტრატეგიული უწყობა





# ტექნოლოგია აშშ-ში რაპატენტება

– „მედიანუსმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თქვენ მიერ მონოპოლიზებული ტექნოლოგია ამერიკის შეერთებულ შტატებში დაპატენტდა. რა ტექნოლოგიაზეა საუბარი?

– პატენტის სახელწოდებაა „ნივთიერებათა ცვლის და საჭმლის მონელების დარღვევის და მასთან დაკავშირებული პათოლოგიური მდგომარეობების პრევენციისა და მკურნალობის მეთოდი და საკვები პროდუქტები მის საფუძველზე“.

დღეისთვის ყველაზე გავრცელებული არაგადამდები დაავადებების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი საჭმლის მონელების და ნვითიერებათა ცვლის დარღვევაა. ჩვენ მიერ მონოპოლიზებული ტექნოლოგია იძლევა შესაძლებლობას, დამზადდეს მცენარეული ბოჭკოთი მდიდარი, ბუნებრივი, დაბალკალორიული საკვები, რომელიც შეუზღუდავი რაოდენობით და ვადით, შეეძლებათ მიიღონ, როგორც ჯანმრთელებმა, ისე ავადმყოფებმა. ეს არის რეალური შესაძლებლობა მცენარეული ბოჭკოების შევსების და კალორიის ოპტიმიზაციისა, როგორც ჯანმრთელებისა და დაავადების მალალი რისკის მქონეთათვის, ისე ავადმყოფებისთვის. მოგახსენებთ, რომ ასეთი კვება სტენოკარდიის, ინფარქტის, ინსულტის, დიაბეტის, სიმსუქნის, ნაღვლ-კენჭოვანი დაავადებების, გალიზიანებული ნაწლავის სინდრომის და სხვა მრავალი დაავადების, მოკლედ რომ ვთქვათ, ცივილიზაციის თანმხლები დაავადებების, პრევენციისა და მართვის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

– კონკრეტულად რა პრობლემის გადაჭრა შეძლო თქვენმა ტექნოლოგიამ?

– მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი ნედლეული უხეში და ჰიდროფობულია, მისი მონელება თანამედროვე ადამიანისთვის ძნელია, ხოლო დაავადებულთათვის – წინააღმდეგობაჩვენები. დღეისთვის არსებული ტექნოლოგიებით მათი დამუშავება იწვევს შემადგენლობის და სასარგებლო თვისებების არასასურველ ცვლილებებს. ზემოაღნიშნული პრობლემა თანამედროვე მედიცინისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მისი გადაჭრის გარეშე დაავადებათა მართვა ძალიან ძნელია, რადგანაც დაავადებულთა რიცხვი, რომელთათვისაც მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსება ნაჩვენებია, ხოლო უხეში ჰიდროფობული საკვები – წინა-

აღმდეგობაჩვენები, ძალიან დიდია. ჩვენ მიერ მონოპოლიზებული ტექნოლოგიით დამზადებულ საკვებს არ აქვს გვერდითი მოვლენები და წინააღმდეგობაჩვენებები და, როგორც მოგახსენეთ, შეუზღუდავი რაოდენობით და ვადით შეუძლიათ მიიღონ, როგორც ჯანმრთელებმა, ისე ავადმყოფებმა.

– როგორ შეძელით ამ ეფექტის მიღწევა?

ქართველმა მეცნიერმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი თერაპიის მიმართულების ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გელა სულაბერიძემ, მრავალწლიანი საექიმო მოღვაწეობის შედეგად, შეიმუშავა და მოახერხა მცენარეული ბოჭკოთი მდიდარი და ბალკალორიული ბუნებრივი საკვები – „მარგი“ (პური, მიუსლი და სხვ.), რომელიც მზადდება მცენარეული ნედლეულის ორიგინალური მეთოდით დამუშავების შედეგად. „მარგის“ პროდუქტების ტექნოლოგია დაპატენტებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) მიერ და მისი გამოყენება უკვე უცხოეთის არაერთ ქვეყანაშია შესაძლებელი.

– ტექნოლოგიის მოდელი სამედიცინო მეცნიერებაზე დაფუძნებული და ადამიანის მიერ საკვების მონელების პროცესის მსგავსია – მექანიკური დამუშავება (მსგავსი საკვების დამუშავების პირის ღრუში), მთავე გარემოში დამუშავება (მსგავსი საკვების დამუშავების კუჭში), სითხით გაჯირჯება და ა.შ. მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი ნედლეული, საჭმლის მონელების მსგავსი პროცესებით დამუშავებისას, კარგავს სიუხეშს და ჰიდროფობულობას, ამავე დროს, არ იწვევს შემადგენლობის და სასარგებლო თვისებების არასასურველ ცვლილებებს. საკვები ჰიდროფობულია, ადვილად ჯირჯდება, რის გამოც არ აქვს გვერდითი მოვლენები და წინააღმდეგობაჩვენებები. ნედლეულის და კომბინაციის შერჩევა მიზანმიმართულად ხდება, რათა საკვები ბუნებრივი, ჯანსაღი და ოპტიმალური შემადგენლობის იყოს. ზემოაღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებით ეს საკვებით შესაძლებელია.

– მსგავსი ტექნოლოგია დღემდე ცნობილი არ იყო?

– ჩემ მიერ დაცული პატენტები სწორედ ამის დადასტურებაა. ამერიკის საპატენტო უწყება ითვალისწინებს პატენტუნარიანობის სამი კრიტერიუმის უცილობლად შესრულებას: 1. სიახლე; 2. საგამომგონებლო დონე; 3. სამრეწველო გამოყენებადობა.

1. ინოვაცია ორიგინალური უნდა იყოს და არ არსებობდეს პროტოტიპი. ანალოგის არსებო-

ბის შემთხვევაში, მინიმუმაც არ უნდა იყოს საკითხის მსგავსად გადაწყვეტაზე.

2. ინოვაცია მნიშვნელოვანი უნდა იყოს მეცნიერებისა და ეკონომიკის განვითარებისთვის.

3. ინოვაციურ ტექნოლოგიაში აღნერვილი პროცესი არ უნდა საჭიროებდეს დამატებით კვლევებს მისი პრაქტიკული გამოყენებისთვის.

– აშშ-ის საპატენტო უწყება ერთ-ერთი ყველაზე რთულად გადასაღებად, პროცესიც ხანგრძლივია. როდის შეიტანეთ განაცხადი?

– აშშ-ის საპატენტო უწყებაში განაცხადი გამოგონებაზე, 2010 წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფ-

პატენტი საქართველოში და 2010 წელს გამოგონება გამოქვეყნდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში (WIPO), რაც ავტორს ანიჭებს პრიორიტეტს გამოგონებაზე და იძლევა შესაძლებლობას, ინოვაციაზე განაცხადი შეიტანიდ იქნას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ეს შესაძლებლობა გამოვიყენე და მივიღე პატენტები: რუსეთში,

უკრაინაში, ყაზახეთში, სომხეთში და ბოლოს – აშშ-ში. ყველა ქვეყნის საპატენტო უწყებაში ზემოაღნიშნული პროცედურების გავლა და ექსპერტებთან პაექრობა,



– ხომ არ ფლობთ სხვა პატენტებსაც?

– დიახ, 1996 და 2001 წლებში საქართველოში კიდევ სამი პატენტი დავიცავი. 1996 წელს დაცული პატენტის თანაავტორი, ჩემი მასწავლებელი, დიდი ქართველი ექიმი, მეცნიერი და მოძღვარი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ბაადურ რაჭველიშვილი გახლდათ.

საკანდიდატო დისერტაცია პათოგენეზზე 1993 წელს დავიცავი, რომლის შემდეგაც დავინტერესდი მცენარეული ბოჭკოების პრევენციის მიზნით გამოყენებაზე. შემდეგში თემა გაღრმავდა და სადოქტორო დისერტაციის მნიშვნელოვანი ფრაგმენტს სწორედ მცენარეული ბოჭკოების პრევენციული ეფექტის შესწავლა წარმოადგენდა.

– შეიძლება ითქვას, რომ თქვენ მიერ დაცული პატენტები თქვენი კვლევების და საექიმო გამოცდილების პრაქტიკული გამოყენებაა?

– დიახ, ასეა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1982 წლიდან, კლინიციისტი ვარ, შინაგან მედიცინისა და გასტროენტეროლოგიაში ვმუშაობ. შინაგანი მედიცინა, გასტროენტეროლოგია და კვება ერთი მეცნიერებაა, კლინიციისტიისთვის კი – პაციენტებზე და პოტენციურ პაციენტებზე ორიენტირებული მეცნიერება. ჩემი თეორიული თუ პრაქტიკული მოღვაწეობაც, ბუნებრი-

ვია, ამ მიმართულებით წარმოებს. ბოლო პერიოდში, სამედიცინო სფეროში განხორციელებული კვლევების შედეგების პრაქტიკაში დანერგვა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ჩვენ მიერ მონოპოლიზებული ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით, ჩვენც რამდენიმე პროექტი შევასრულეთ. სულ ახლახან დასრულდა ამერიკის სამოქალა-

ქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF), საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (GRDF) და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი პროექტის – „მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი დაბალკალორიული საკვების სამომხმარებლო ფორმების შექმნა“, ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლებთან, ასოცირებულ პროფესორ მაია ოკუჯავასთან და ქალბატონ სალომე ბეზარაშვილთან ერთად.

– თქვენს პატენტებში, პრევენციისა და მკურნალობის მეთოდებთან ერთად, საკვები პროდუქტებიც ფიგურირებს. რა საკვებ პროდუქტებზეა ლაპარაკი?

– ჩვენი მკითხველისთვის, ალბათ, ცნობილია, ბუნებრივი, ჯანსაღი, დაბალკალორიული საკვები – „მარგი“: პური - „მარგი“, ქართული მიუსლი - „მარგი“ და სხვა, რადგანაც ისინი ზემოაღნიშნული ინოვაციური ტექნოლოგიითაა დამზადებული, შეუზღუდავი რაოდენობით და ვადით შეუძლიათ მიიღონ, როგორც ჯანმრთელებმა – ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, დაავადების მალალი რისკის მქონებმა – რისკის შემამცირებლად, ისე ავადმყოფებმა, როგორც მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. ყოველივე ამის საფუძველი ჩვენ მიერ მონოპოლიზებული პროდუქტებით, მცენარეული ბოჭკოებით შევსების და კალორიის ოპტიმიზაციის რეალური შესაძლებლობაა, რაც საჭმლის მონელების და ნვითიერებათა ცვლის დარღვეულ პროცესთა ნორმალისზებას იწვევს.

აღიარებულია, რომ მე-20 საუკუნეში დაავადებათა ტრანსფორმაციის და გახშირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არასწორი კვებაა. დადასტურებულია, რომ ჰიპოკრატეს დებულება – „კვებას განსაკუთრებულად ესება და 21-ე საუკუნეში კვლავაც აქტუალურია ჰიპოკრატეს მეორე დებულება – „საკვები იყოს ნაზალი და მიიღე ნაზალი საკვების სახით“. ჩვენი ინოვაცია და პროდუქტები ახლებურად წარმოჩენილი ცნობილი პრობლემების რეალობაში გადაწყვეტის მოკრძალებული მცდელობაა.

მოამზადა დარეჟიანი კომპლემენტი

პროფესორი ვაჟა ჯაფარიძე 80 წლისა

გვაქვს პატივი და ბედნიერება, საიუბილეო თარიღი და დამდეგი ახალი, 2015 წელი მივულოცოთ ჩვენს მსოფლიო კოლეგას, მასწავლებელსა და მეგობარს, ქართველ მეცნიერს, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ ვარლამის ძე ცაგარეიშვილს, რომელსაც დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1958 წელს, იგი მუშაობას იწყებს იოველ ქუთათელაძის ფარმაცეპტივის ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა რიგითი მეცნიერი თანამშრომლიდან პროფესორობამდე, რიგითი ფარმაცეპტივისკოვობიდან – ლაბორატორიის გამგეობამდე.

1969 წელს გურამ ცაგარეიშვილი წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას თბილისში, 1984 წელს კი – სადოქტორო დისერტაციას ხარკოვში.

1963-1972 წლებში, სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად, პროფესორი გურამ ცაგარეიშვილი ინსტიტუტის სწავლული მდივანია. 1972-2006 წლებში იგი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 2006-2010 წლებში – სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1972 წლიდან პროფესორი გურამ ცაგარეიშვილი ხელმძღვანელობს იოველ ქუთათელაძის ფარმაცეპტივის ინ-

სტიტუტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის ლაბორატორიას.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებიდან დღემდე პროფესორი გურამ ცაგარეიშვილი ნაყოფიერად მუშაობს იოველ ქუთათელაძის ფარმაცეპტივის ინსტიტუტში.

ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციისა და ეკონომიკის კათედრის პროფესორია, 1993-1998 წლებში – ამავე კათედრის გამგე. 1998 წლიდან იგი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერ-

ღვანულადი მეცნიერი, კედაგობი, საზოგადო მოღვაწე



იგი წლების მანძილზე დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემს მომავალ კოლეგებს – სტუდენტ-ახალგაზრდობას, რის დასტურად საკმარისია აღნიშნოს მისი ხელმძღვანელობით დაცული 10-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ბატონი გურამ ცაგარეიშვილი, სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას: 1978 წლიდან ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში; 1983 წლიდან ამავე ინსტიტუტის

სტიტუტის ბიოსამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი და, ამავდროულად, ნამალთა ტექნოლოგიის სალექციო კურსის ხელმძღვანელია.

პროფესორი გურამ ცაგარეიშვილი, სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, აქტიურად იყო ჩართული პრაქტიკულ საქმიანობაში. 1994 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ იგი მიიწვია სამედიცინო ინდუსტრიისა და სერვისის კომპანია „მედინსერვი“ გენერალური დირექტორის მოადგილედ.

პროფესორი გურამ ცაგარეიშ-

ვილი 55 წელია ეწევა სამეცნიერო, პედაგოგიურ, ორგანიზაციულ, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი კვლევის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს მეცნიერული და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შესწავლა ახალი ორიგინალური სამკურნალო, ვეტერინარიული და კოსმეტიკური საშუალებების შექმნის მიზნით.

ბატონი გურამი ფარმაციის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას – ფარმაცევტულ ტექნოლოგიას – უდგას სათავეში და მრავალწლიანი მეცნიერული კვლევის შედეგად, 25-მდე ორიგინალური სამკურნალწამლო, კოსმეტიკური და ვეტერინარული საშუალება შექმნა. მისი კვლევის შედეგები ასახულია 154 სამეცნიერო სტატიის, 22 მონოგრაფიისა და დამზარებ სახელმძღვანელოში. ამასთან, მიღებული აქვს 14 საავტორო მოწმობა და პატენტები ახალი ორიგინალური სამკურნალწამლო საშუალებების შემადგენლობასა და ტექნოლოგიებზე.

პროფესორი გურამ ცაგარეიშვილი, სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში, იყო არაერთი სამეცნიერო კონფერენციის, სიმპოზიუმისა თუ კონგრესის უშუალო მონაწილე და ორგანიზატორიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ადამიანური ბუნებიდან და, ამასთან, სამეცნიერო მოღვაწეობიდან გამომდინარე, იგი აღიარებული მკვლევარი, მეცნიერი და პედაგოგია. სწორედ ამიტომაც, პროფესორმა გურამ ცაგარეიშვილმა, სამეცნიერო შრომითა ციკლისთვის, 1999 წელს მიიღო აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის პრემია და „ღირსების ორდენი“.

ბატონმა გურამმა თავისი მეცნიერული კვლევებით ახალ საფეხურზე აიყვანა აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის დაწესებული საქმე ბენტონიტების შესწავლის სფეროში და, ფაქტობრივად, შექმნა სკოლა თავისი მოწაფეებისა და თანამაზრეთა სახით, რომლებთან ერთადაც იგი ღირსეულად აგრძელებს ძვირფასი მასწავლებლის სახელოვან ტრადიციებს და მეცნიერულ მემკვიდრეობას.

ბატონო გურამ! იოველ ქუთათელაძის ფარმაცეპტივის ინსტიტუტის თანამშრომლები დიდ მადლობას გიხდით იმ ღვაწლისთვის, რომელიც მიგიძღვით ქართული სამეცნიერო და პრაქტიკული ფარმაციის განვითარების საქმეში და გისურვებთ ხანგრძლივ, ნაყოფიერ შემოქმედებას, ჯანმრთელ სიცოცხლეს თქვენს ღამაზ ოჯახთან, კოლეგებთან ერთად!

კიდევ ერთხელ გილოცავთ სახელოვან საიუბილეო თარიღს, ახალი წლის შემობრძანებას, ქრისტესშობას!

იოველ ქუთათელაძის ფარმაცეპტივის ინსტიტუტის კოლექტივი

საქართველოში ფესტივალის



კვლავ წაბმაცემით

მესამე წელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამ საინტერესო ფესტივალის მასპინძელია. უნივერსიტეტის „წითელ დარბაზში“, საზეიმო გახსნის ცერემონიაზე, მოყვარულ სტუდენტურ

რი ზურბ ვადაჭკორია. ფესტივალის მონაწილეებს აფასებდა კომპეტენტური ჟიური – რეჟისორები: გოგი თოდაძე და გორა კაპანაძე; თეატრმცოდნე – ნიკა წულუკიძე; მსახიობები: ნანული სარაჯიშვილი, ია სუხიტაშვილი და კახა მიქიაშვილი; თბილისის მერიის

ფესტივალის საზეიმოდ დახურვის ცერემონიაზე, რომელიც, ტრადიციულად, თბილისი გალერეაში გაიმართა, სწორედ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. სასიხარულოა, რომ ამჯერადაც, როგორც წინა წლებში, თეატრმა „ჰიგია“ რამდენიმე

კული როლის შესრულებისთვის – ლუკა ქიქვაძე.

როგორც თეატრ „ჰიგია“ რეჟისორმა, ნათია გუჯაბიძემ, აღნიშნა, ფესტივალის მნიშვნელოვანი და საინტერესოა იმით, რომ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ურთიერთთანამშრომლობის, შემოქმედებითი ნიჭის თუ აქტივობის სრულად გამოვლენის საშუალება ეძლევათ. მით უფრო, რომ მასში, საქართველოს გარდა, ჩართულები არიან სხვა ქვეყნების (უკრაინა, თურქეთი) უმაღლესი სასწავლებლების თეატრალური დასებიც, რაც ფესტივალს საერთაშორისო მნიშვნელობას სძენს.



საყოველთაოდ ცნობილია: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მდიდარი კულტურული და თეატრალური ტრადიციებით გამოირჩეული უმაღლესი სასწავლებელია. უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული თეატრი „ჰიგია“ დაარსებიდან ათეულ წელზე მეტს ითვლის და ამ ხნის მანძილზე თეატრის თავყვანისმცემლები არაერთხელ გაახარა საინტერესო სპექტაკლებით. დასი, ასევე, წარმატებით მონაწილეობს საქართველოსა თუ უცხოეთში გამართულ თეატრალურ ფესტივალებში.

უკვე ორი წელია მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციამ დააფუძნა სტუდენტურ თეატრთა ფესტივალი „წილაბი“, სადაც, ყოველწლიურად, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის თეატრალური დასები წარმოადგენენ სპექტაკლებს. ამ მცირე ხნის მანძილზე ფესტივალმა საყოველთაო აღიარება და პოპულარობა დაიმსახურა. უკვე

თეატრთა ასოციაციის წარმომადგენლების მიერ ასოციაციის პირველ საპატიო წევრებად დასახელდნენ ცნობილი რეჟისორი გოგი თოდაძე, თეატრმცოდნე – ნიკა წულუკიძე და თსსუ-ის რექტორი, პროფესორი

თეატრალური პროექტების მენეჯერი – სოფიო სიხარულიძე. 10 დღის მანძილზე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების მიხედვით ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები.

ნომინაციაში გაიმარჯვა. კერძოდ: მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის დაჯილდოვდა გიორგი მარსაგიშვილი, ქალის ტრაგიკული როლის შესრულებისთვის – ნინი გუბიაური, მამაკაცის ტრაგი-

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ულოცავს „ჰიგია“ მნიშვნელოვან წარმატებას, ბედნიერ შობა-ახალწელს და არაერთ გამარჯვებას უსურვებს მომავალშიც.

ნათო ზოლქვაძე

